პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 იანვარი ოთხშაბათი 1972 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 21 (15234)

ᲕᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲗ

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის კოლექტივმა კარგად იმრომა გასულ წელს, ღვინის მრეწველობას გაუგზავნა დიდძალი დანადგარ-მოწყობილობა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ადამიანებმაც, რომლებსაც სურათზე ხედავთ: მარცხნიდან — ელექტრომექანიკოსი ა. გუგუშვილი, ზეინკლები ჯ. ბოგველი, გ. ქელეხსამეილი და ზეინკლთა ბრიგადის ხელმძღვანელი ა. თიხამეილი.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სამრეწველო საწარმოების პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის ანგარიშები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ. შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის საწარმოების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, აზორკიელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, დღენიადაგ იბრძვიან შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის და ამის საფუძველზე განუხრელად ამაღლებენ წარმოების ეფექტიანობას.

ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, სატრიკოტაჟო ფაბრიკის, თბილისის გამთაშვილთა ქარხნისა და სხვა კოლექტივებმა. საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები აძლიერებენ მუშაობას შრომის ნაყოფიერების გადიდების, გამოშვებული პროდუქციის ფასეულობების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების შინაგანი რეზერვების გამოსავლინებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

ეს შრომითი მიღწევები იმის შედეგია, რომ პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მუდამ ზრუნავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის. მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქალაქ ქუთაისის საწარმოებში დაინერგა 46 ავტომატური, ნახევრად ავტომატური და კონვეიერული ხაზი. მოდერნიზებულია დაახლოებით 450 ერთეული სხვადასხვა მოწყობილობა, დაიდგა 1800-ზე მეტი დიდი წარმადობის ახალი ჩარხი და აგრეგატი. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან აგრეთვე კიროვის რაიონის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები. მაგალითად, 1970-1971 წლებში რაიონის საწარმოებში დაინერგა 60 ნაკადური და კონვეიერული ხაზი, მოდერნიზებულია 226 ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა, დაიდგა 400-ზე მეტი დიდი წარმადობის ჩარხი და აგრეგატი.

პარტიული კომიტეტების უყოყმანოდ ცენტრში მუდამ არის ტექნიკური პროგრესის საკითხები, ისინი დღენიადაგ ზრუნავენ კადრების ტექნიკური ცოდნისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ამასთანავე, აღნიშნულია დადგენილებაში, სამრეწველო საწარმოებში შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის პარტიული კომიტეტების მუშაობაში არის ნაკლოვანებები და ხარვეზები, პარტიული ორგანიზაციები ნელა გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონი მთელ რიგ შემთხვევებში საკმაო მოზანსწრაფულობით არ ამუშავებენ ტექნიკური პროგრესის საკითხებს პარტიული კომიტეტების მხრივ კონტროლის შეხუსტების შედეგად ბევრ საწარმოს არა აქვს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის, არსებული სიმძლავრეების, შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული პერსპექტიული გეგმები. ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის მთელ რიგ საწარმოთა ახალი ტექნიკის გეგმებში. საკმარისად სრ არის გათვალისწინებული წარმოებაში ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების დანერგვის ღონისძიებანი.

პარტიული კომიტეტები კვლავ ურიგდებიან ახალი ტექნიკის გეგმების შეუსრულებლობის ტექნოლოგიური დისციპლინის დაბალი დონის ფაქტებს. ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის მთელ რიგ საწარმოებში ტეროვნი უყრადღება არ ეთმობა ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვასა და სრულყოფას, საწარმოთა ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას, ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის განახლებას, რასაც პარტიული კომიტეტები სათანადო შეფასებას არ აძლევენ.

პარტიული ორგანიზაციები ვერ აღწევენ შრომატევად სამუშაოთა ყოველმხრივ მექანიზაციას, განსაკუთრებით სატრანსპორტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებზე. მთელ რიგ საწარმოებში კვლავ მაღალია ხელის შრომის პროცენტი. ჯეროვანი უურადღება არ ეთმობა მუშაობის ისეთ დიდმნიშვნელოვან უბანს, როგორიც არის გამოშვებული პროდუქციის ხარისხის განუხრელი გაუმჯობესება.

პარტიულმა კომიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს ქმედითი შეჯიბრება ტექნიკური პროგრესისათვის ყველა სამრეწველო საწარმოში. ბევრ შემთხვევაში ბრიგადების, სამეკრეთის, საწარმოების კოლექტივებს ვალდებულებებში ჯეროვან ასახვას არ პოულობენ ტექნიკური პროგრესის საკითხები. ნელა ინერგება თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების ამაღლების პრადი კომპლექსური გეგმების შედგენის მოწინავე გამოცდილება და სხვა თაოსნობანი.

ნაკლოვანებებია მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, განსაკუთრებით მშრომელთა ეკონომიური სწავლების ორგანიზაციაში.

ტექნიკური პროგრესის საკითხებზე დადგენილებებს რომ იღებენ, პარტიული კომიტეტები მთელ რიგ შემთხვევებში არ განამტკიცებენ მათ შესაბამისი ორგანოტორული და პოლიტიკური მუშაობით, არ იჩენენ სიმტკიცეს დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სრულად არ იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებას, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული, ყოველთვის არ ახდენენ ქმედითს გავლენას ახალი ტექნიკის გეგმების შესრულებაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ აღნიშნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის დადებითი მუშაობა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებისათვის საწარმოთა კოლექტივების დასარაზმავად და დავალა საქალაქო კომიტეტსა და რაიონს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უზრუნველყონ თვითეულ საწარმოში ტექნიკური პროგრესის ფართოდ განვითარება და ამის საფუძველზე გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

დადგენილება ავალებს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონს სამინისტროთა, უწყებათა. საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყონ პრინციპულად ახალი შრომის იარაღების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნა და დანერგვა, განუხრელად აამაღლონ ტექნოლოგიური მოწყობილობის პარკის ტექნიკური დონე, დაიჩქარონ მორალურად მოძველებული მანქანებისა და მექანიზმების შეცვლა და მოდერნიზაცია;

ეცადონ ყველგან დანერგონ საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საჭირო მანქანათა სისტემა, უწინარეს ყოვლისა პროგრამული ბირთვის ავტომატური მოწყობილობა;

უზრუნველყონ გეგმების შესრულება ახალი ტექნიკის დარგში, განსაკუთრებული უურადღება მიაპყრონ შრომატევადი და დამხმარე სამუშაოების, სატრანსპორტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების მექანიზაციას. ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების საფუძველზე იბრძოლონ თვითეულ საწარმოში, თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და პროდუქციის ხარისხის. გაუმჯობესებისათვის;

შეიმუშაონ თვითეულ სამრეწველო საწარმოში შრომატევადი, დამხმარე და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციის კომპლექსური გეგმები 1972 წლისა და ხუთწლედისათვის, განახორციელონ ღონისძიებანი დამხმარე სამუშაოების ხელფრთი წონის შემცირებისათვის. შექმნან საწარმოებში სატრანსპორტო ოპერაციათა მექანიზაციის სპეციალური განყოფილებები და ჯგუფები, დანერგონ გადაუცლელად საწარმის ტრანსპორტირების მეთოდი ფიზიკური შრომის გამოუყენებლად;

უზრუნველყონ, რომ საამქროებსა და საწარმოებში ყოველნაირად განიხილონ ტექნიკურ კონფერენციებზე საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ღონისძიებანი, ამასთან ეს ღონისძიებანი შემდგომ დაამტკიცონ პარტიული კომიტეტებისა და პარტიული ბიუროების სხდომებზე, მიუთითონ კონკრეტული ვადები და შემსრულებლები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული ბიუროების სხდომებზე პრაქტიკულად დანერგონ კომუნისტთა ანგარიში ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში გაწეული მუშაობის შესახებ;

სამეცნიერო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მთელი საქმიანობა მოსახმარონ წარმოების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, გააფართოონ კვლევა და ნამუშევრების დანერგვა მრეწველობაში, სამეცნიერო-საკვლევი და სამრეწველო ორგანიზაციების კავშირი, შექმნან პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოთა დაინტერესებას ახალი ტექნიკის წარმოებითა და გამოყენებით.

შეამცირონ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მეცნიერულ ნაშრომთა წარმოებაში დანერგვის ვადები;

ყველგან იბრძოლონ მრეწველობის ნაკეთობათა ლიოონტევადობისა და მასალატევადობის შემცირებისათვის, ისეთი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისათვის, როგორიც არის ზუსტი ხმოვნა, ზუსტი ტვიფვრა და სხვ.

განაგრძონ მუშაობა საწარმოებში სამუშაო დროის დანაკარგების შემდგომი შემცირებისათვის, უწყვეტი ოპერატიული დაგეგმვის დანერგვისათვის, ორი დასვენების დღის მაქსიმალური გამოყენებისათვის, რათა მოამზადონ წარმოება კვირის განმავლობაში მუშაობისათვის.

იბრძოლონ წარმოების მართვის განუხრელი სრულყოფისათვის ყველა რგოლში გამოსათვლელი ტექნიკის, მართვის ავტომატიზებულ სისტემათა შემუშავებისა და დანერგვის საუფველზე;

განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ დაინტერესებული საწარმოებისათვის მიწოდება მონაცემებისა და ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებიდან უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა დარაზმვა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა სრულ, ზუსტ და ეფექტიანი განხორციელებისათვის; ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განავითარონ მშრომელთა აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა, უფრო ფართოდ ჩაბნან ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები. სრულყონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, აამაღლონ მისი ქმედითობა და შედეგიანობა, შეჯიბრების მონაწილეთა ყურადღება მიაპყრონ ტექნიკური პროგრესის საკითხებს; გაამლიერონ მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, აამაღლონ თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში, აამაღლონ პარტიული კონტროლის დონე ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობადმი; უზრუნველყონ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და შესაბამის რაიონულ კომიტეტებში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების 1972 წლისა და ხუთწლედის კონკრეტული გეგმების შედგენა, მოაწყონ საწარმოებში, რაიონებსა და ქალაქებში სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები, მიძღვნილი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებისადმი.

რესპუბლიკური გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხები. (საქდესი).

ᲘᲜᲓᲝᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვარაჰაგირი ვენკატა გირის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცა ინდოეთის ერთვეული დღესასწაული — რესპუბლიკის გამოცხადების 22-ე წლისთავი.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანები უაღრესად მეგობრული გრძნობებით არიან გამსჭვალულნი ინდოელი ხალხის მიმართ და გულწრფელად ახარებთ მისი წარმატებები ინდოეთის ეკონომიკის განვითარებასა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ უკანასკნელ წლებში განუზომლად გაიზარდა საერთაშორისო ავტორიტეტი ინდოეთისა, რომელიც იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა, განმტკიცებული მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით, კიდევ უფრო განვითარდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესებისათვის და სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. (საკდესი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲗ — ინდოეთის რესპუბლიკად გამოცხადების 22 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცა მას.

დეპეშაში ნათქვამია, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს, როგორც ერთგულ და გულწრფელ მეგობრებს, აბარებს წარმატებები, რომლებიც ინდოელმა ხალხმა მოიპოვა ახალი ინდოეთის მშენებლობის გზაზე, მისი პრესტიჟისა და საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებაში. საბჭოთა კავშირში დიდ კმაყოფილებას იწვევს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის განუხრელი განვითარება, რამაც მკაფიო გამოხატულება პოვა სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერით.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნების ნამდვილი მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და გაფართოვდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. (საკდესი).

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲐᲠᲐᲰᲐᲒᲘᲠᲘ ᲕᲔᲜᲙᲐᲢᲐ ᲒᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვარაჰაგირი ვენკატა გირის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცა ინდოეთის ერთვეული დღესასწაული — რესპუბლიკის გამოცხადების 22-ე წლისთავი.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანები უაღრესად მეგობრული გრძნობებით არიან გამსჭვალულნი ინდოელი ხალხის მიმართ და გულწრფელად ახარებთ მისი წარმატებები ინდოეთის ეკონომიკის განვითარებასა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ უკანასკნელ წლებში განუზომლად გაიზარდა საერთაშორისო ავტორიტეტი ინდოეთისა, რომელიც იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა, განმტკიცებული მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით, კიდევ უფრო განვითარდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესებისათვის და სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობა გაიხსნება 1972 წლის 28 იანვარს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 26, 27 იანვარს, დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში (გრიბოედოვის ქუჩა № 19, ოთახი № 43. ტელეფონები 99-67-42, 93-86-60, 93-29-11, ხოლო 28 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში).

საქართველოს პროფსაბჭო.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბიმი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ლ. ჰარმენტი და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო საagენტოს დირექტორი ფ. შეესპირი, რომლებიც თბილისში არიან იმის გამო, რომ აქ გაიხსნა გამოფენა „გამოკვლევები და ნამუშევრები ამერიკის შეერთებულ შტატებში“, 25 იანვარს ეწვივნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შ. კიკნაძეს.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ ისეთი გამოფენები, როგორიც არის საბჭოთა გამოფენა „სსრ კავშირის რესპუბლიკების ხალხური შემოქმედება“, რომელიც ახლა ექსპონირებულია ვაშინგტონში, და ამერიკის გამოფენა თბილისში, ხელს უწყობენ შემოქმედებითს ურთიერთობას, მიღწევათა გაზიარებას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, ხალხთა შორის უკეთეს ურთიერთგაგებას.

საუბარს დაესწრნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მიქელაძე, საქართველოს საგარეო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი, საქართველოს დელეგაციათა საagენტოს — **საქართველოს დირექტორი ვ. ჭიაურელი, რესპუბლიკის სახელმწიფო** საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. კაშელავა. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. გორდელაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. კამენევი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომაყენებელი განყოფილების გამგე ჯ. ჭიპაშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბიმი და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო საagენტოს დირექტორი ფ. შეესპირი 25 იანვარს ეწვივნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბუხრაშვილს. (საქდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲑ

25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ მოსკოვს გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბიმი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ლ. ჰარმენტი და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო საagენტოს დირექტორი ფ. შეესპირი, რომლებიც თბილისში იყვნენ იმის გამო, რომ აქ გაიხსნა გამოფენა „გამოკვლევები და ნამუშევრები ამერიკის შეერთებულ შტატებში“. (საქდესი).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

თბილისის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

თბილისის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, საქალაქო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების წარმომადგენელთა კრებამ დაამტკიცა ქალაქის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1972 წლის ბუმბისა და მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა თბილისის მშრომელებმა, რომლებიც ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კერძოდ გადაწყვიტეს:

მრეწველობაში. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს საქონლისა ნაკეთობების გამოშვების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 25 დეკემბერს, წლის დამლევამდე გაანადღონ 26 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია და გეგმის გადამეტებით მიიღონ სულ ცოტა 7 მილიონი მანეთი მოგება.

დიდი ოქტომბრის 58-ე წლისთავის დღისთვის — 1975 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ წარმოების მოცულობის მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი მეტ წილ საწარმოებში, ხოლო მთლიანად ქალაქის მრეწველობაში ხუთწლედი დაამთავრონ ვადაზე ხუთი კვირით ადრე. პროდუქციის მთელ მატებას ძირითადად მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მიმდინარე წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან ერთი სამაგისტალო რეალურიანი „ვალ-10“ ელმავალი, 22 ლოკომოსპრელი და სპრები ჩარხები, 700 ტონა თუჯისა და ფოლადის სმელი, 120 ათასი მანეთის პლასტმასის ნაკეთობანი, 100 ათასი მანეთის საიზოლაციო მასალები, 2.000 გაზქურა, 4.000 მიკროძრავა, ათეულ ათასობით მანეთის ტელევიზორის აპარატი, 1 მილიონი ცალი ხილეულეტური აფერი, 300 ათასი კვადრატული მეტრი აბრეშუმისა და ბალის ქსოვილები, 1 მილიონი მანეთის შეკერილი და ტრიკოტაჟის საწარმი, 50 ტონა დაფასოებული ჩაი, 60 ათასი ბოთლი შამპანური, 1.000 დეკალიტრი კონიაკი, 27 ათასი დეკალიტრი ღვინო, 200 ათასი მანეთის ავეჯი, 18 ათასი კვადრატული მეტრი მოსასპირკეთებელი და მოზაიკური ფილები, აგრეთვე სხვა სახეობის პროდუქცია.

ათთვისონ და გამოუშვან სულ ცოტა 655 ახალი, უფრო სრულყოფილი ტიპისა და მოდელის მანქანები, ხელსაწყოები, მასალები, ფართო მოხმარების საწარმი, რომლებიც უასაუხებენ თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს და შეესაბამებიან საუკეთესო საბჭოური და საზღვარგარეთული ნიმუშების დონეს.

შეიმეშაონ და ხუთწლედში განახორციელონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმო. ფონდების რაც შეიძლება სრულად გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსი. სამრეწველო საწარმოებში დადგან და საექსპლოატაციოდ გადასცენ სულ ცოტა 145 ავტომატური, ნახევრადავტომატური ნაკადურ-მექანიზებული და კონვეიერული ხაზი, 415 ერთეული ახალი მაღალმწარმოებელური მოწყობილობა, მოახდინონ 400-ზე მეტი ჩარხისა და აგრეგატის მოდერნიზაცია.

დაუცხრომლად იბრძოლონ პროდუქციის ხარისხის, გარეგნული გაფორმებისა და შეფუთვის ყოველი ღონისძიებით. გაუმჯობესებისათვის, მისი საიმედოობისა და გამძლეობის გადიდებისათვის, წუნით გამოწვეული დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებისათვის, საწარმოო მარკის განმტკიცებისათვის. გააფართოონ პროდუქციის უდაფეტენტო დამზადებისა და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების სისტემის დანერგვა, ბრძოლა ხარისხის წარჩინებულის წოდებისა და პიტნდი დამღით მუშაობის უფლების მოპოვებისათვის.

ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ბრძოლა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის. შრომისა და მასალების ხარჯვის, არამწარმოებლური დანაკარგების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით დაზოგონ სულ ცოტა 5 მილიონი მანეთი. დაზოგონ 1.200 ტონა შავი და ფერადი ლითონები, 13 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 5 ათასი ტონა პირობითი სათბობი, 150 ათასი მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, 860 ათასი მანეთის პლასტმასისა და სხვა სახეობათა ნედლეული და მასალები.

გააძლიერონ საბჭო დახმარება სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღონ 3 მილიონ მანეთზე მეტი პირობითი წლიური ეკონომია.

სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები ყველაზე ვალდებულებას მაღალ მეცნიერულ დონეზე დაამუშაონ ტექნიკისა და ეკონომიკის პრობლემები, დაჩქარონ სახალხო მეურნეობაში იმ მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევართა დანერგვა, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲙᲐᲛᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ, ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲒᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ — ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲘ Ა. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲔᲘᲜᲙᲚᲔᲑᲘ Ჯ. ᲑᲝᲒᲕᲔᲚᲘ, Გ. ᲥᲔᲚᲔᲮᲡᲐᲛᲔᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲘᲜᲙᲚᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ Ა. ᲗᲘᲮᲐᲛᲔᲘᲚᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ბ. ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐᲜᲘᲡ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ფსიქოლოგიის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოყენების ღონისძიებათა შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგიის განვითარებაში მიღწეულია გარკვეული • წარმატებანი. ფსიქოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტსა და საქართველოს პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში.

ფუნდამენტურ კვლევას აწარმოებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომლები. საყოველთაო აღიარება დაიმსახურა ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებმა „ბანწყობის თეორიის" დარგში. ნაყოფიერად მუშაობს რესპუბლიკის ფსიქოლოგთა საზოგადოება.

მაგრამ ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაუსახა სახალხო მეურნეობასა და მეცნიერებას, ნათქვამია დადგენილებაში, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე ფსიქოლოგიის მეცნიერებას უყენებენ ახალ, გადიდებულ მოთხოვნებს. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისებისა და მაქსიმალური გამოყენების ეფექტიანობისათვის, წარმოების მართვის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი მიეკუთვნება შრომითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ ფაქტორს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს შრომის ფსიქოლოგიის და საინჟინრო ფსიქოლოგიის დარგში. ტექნიკური პროგრესის შედეგად სულ უფრო აქტუალური ხდება კვლევა სოციალური ფსიქოლოგიის დარგში.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებანი, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მსხვილი სამრეწველო და სხვა საწარმოები თავიანთ მუშაობაში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ შრომის ფსიქოლოგიურ ფაქტორს, პრაქტიკულად არ იყენებენ საინჟინრო და სოციალურ ფსიქოლოგიას. როგორც წესი, არ გვაყვს ფსიქოლოგიის სპეციალისტები სამინისტროებთან, უწყებებთან და სამრეწველო საწარმოებთან შექმნილი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ქვეგანყოფილებში. ახალი ტექნიკის დაგეგმვის, შემუშავებისა და დანერგვის დროს არ ითვალისწინებენ საინჟინრო ფსიქოლოგიისა და შრომის ფსიქოლოგიის საკითხებს. ტექნიკური ესთეტიკისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალისტები არ ეწევიან ერთობლივ მუშაობას მუშა-მოსამსახურეთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების პრობლემათა გადასაჭრელად.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მეცხრე ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების ამოცანასთან დაკავშირებით სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბავშვო და პედაგოგიური ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებას.

სრულიად არ არის საკმარისად განვითარებული სამედიცინო ფსიქოლოგია და სპორტის ფსიქოლოგია. საკმაოდ არ ამუშავებენ კრიმინალური, სასამართლო- და შრომა-გასწორებითი ფსიქოლოგიის საკითხებს. ფსიქოლოგიის მეცნიერების გამოყენებითის დარგებში მუშაობა ზოგჯერ ზღვრამდე აღწევნიებს, რომლებსაც არა აქვთ ფსიქოლოგიის დარგში სპეციალური განათლება.

როგორც ნათქვამია დადგენილებაში, აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ფსიქოლოგიის გამოყენებითი სპეციალობების განვითარებას, რესპუბლიკაში არ გვყოფნის ფსიქოლოგიის მეცნიერების სხვადასხვა სპეციალობის კადრები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საპროექტო და სპეციალურ საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, ბრძანებულ, მსხვილ სამრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებს ეკალებათ განსაზღვიერულ ღონისძიებანი, რათა მიმდინარე ხუთწლედში საინჟინრო და სოციალური ფსიქოლოგიის, აგრეთვე შრომის ფსიქოლოგიის სპეციალისტები ჩაბან მუშაობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და დაპროექტების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, მართვისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისათვის. მოცემული წარმოებისათვის სპეციფიკური კონკრეტული საინჟინრო-ფსიქოლოგიური კვლევის გასაწევად სამინისტროებმა, რესპუბლიკის უწყებებმა და მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა უნდა მიიზიდონ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრების, საბჭოთა კავშირის ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და საქართველოს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სპეციალისტები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დუთმონ პედაგოგიურ და ასაკობრივ, საინჟინრო, სოციალურ, სამედიცინო ფსიქოლოგიაში, შრომის, სპორტის ფსიქოლოგიასა და სასამართლო, კრიმინალურ ფსიქოლოგიაში, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფსიქოლოგიური ზემოქმედების საკითხების შესწავლაში მეცნიერული კვლევის განვითარებას, თანამედროვე ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის კრიტიკასა და ფსიქოლოგიის თეორიის შემდგომ განვითარებას. უფრო ფართოდ უნდა დაენერგოთ პრაქტიკულად მეცნიერ ფსიქოლოგთა მივლინებანი ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაეკალა უახლოეს წლებში შექმნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბავშვო და პედაგოგიური ფსიქოლოგიის და სოციალური ფსიქოლოგიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრები, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს ს. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი, რათა 1974-1975 სასწავლო წლიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესაბამის ფაკულტეტებზე შემოიღონ ლექციების კურსი საინჟინრო ფსიქოლოგიაში.

საჭიროა აგრეთვე განვიხილოთ ის საკითხი, რომ 1973-1974 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ სპეციალობათა ჯგუფებში შემოვიღოთ ლექციების კურსი პროფესიული ორიენტაციაში, ახალი სასწავლო წლიდან თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოვაყოთ სპეციალისტთა მომზადება დეფექტოლოგიაში, აგრეთვე სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში დეფექტოლოგებად მომუშავეთა აღმზრდელ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება. უნდა მოეწყოს იმ კადრების გადამზადება, რომლებსაც ფსიქოლოგიის დარგის უმაღლესი განათლება აქვთ და არ მუშაობენ სპეციალობის მიხედვით, რათა გამოვიყენოთ ისინი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფსიქოლოგიის გამოყენებითის დარგებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ერთად უნდა გაითვალისწინოს სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმებში, რომ მომავალი წლიდან ასპირანტურაში მისაღები კონკინგენტი ფსიქოლოგიის სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით გაიზარდოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ეკალება შეიმუშაოს და განახორციელოს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტაციებისა და შერჩევის დარგში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უნდა დასახონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ღონისძიებანი. (საქდინი).

ვაშენოთ სწრაფად, იაფად

მსჯელობენ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მშენებლები

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მშენებლებმა ხუთწლედის პირველი წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. მათ არა ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი ჩააყენეს მწყობრში, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. ახალი ხუთწლედის პირველი წლის შედეგებსა და მიმდინარე წლის ამოცანებს მიეძღვნა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ტრესტების, მოძრავი მექანიზებული კოლონნების უფროსები, მოწინავე სპეციალისტები და მშენებლები. სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ხარატიშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სამშენებლო ტრესტების მმართველებმა **ო. კანდელაკმა, ა. ალფაიძემ, ა. აბულაძემ, ვ. იაკობაშვილმა** და **გ. გაბისონიამ**, პირველი ტრესტის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსმა **ს. ვოლობმა**, ტრესტ „საქსოფლმშენმონტაჟის" მმართველმა **თ. ხოსიტაშვილმა**, სამინისტროს მთავარმა ბუღალტერმა **გ. ლეკვეიშვილმა**, ტრესტ „საქსოფლმშენინდუსტრიის" მმართველმა **ვ. გოგელიამ**, სასოფლო მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკების პროფსაბჭოს რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა **ი. თულაშვილმა**, სამინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს უფროსმა **ს. იობაძემ**, № 36 მძიმრავი მექანიზებული კოლონის უფროსმა **ვ. დოლიძემ**, ტრესტ „საქსოფლმშენინდუსტრიის" მმართველმა **ი. გოგოლაძემ**, ტრესტ „ორგტექსოფლმშენის" მთავარმა ინჟინერმა **მ. გორდეზიანმა** და სხვებმა.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ბ. სალუქაძე და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წარმომადგენელი ნ. ჩებრაგინი.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს სოციალისტური ვალდებულებანი, რომელიც შეკრებილთ გააცნო სამინისტროს ხელფასისა და კადრების განყოფილების გამგემ **ა. ხუციძემ.**

საქართველოს სოფლის მშენებლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს უკრაინელი თანამოსაქმეები და გადაწყვიტეს, რომ ხუთწლიანი გეგმა ოთხნახევარ წელიწადში შეასრულონ.



ეს ახალგაზრდები თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის" ამწყობი საამქროს ამწყობი ზენაკლები არიან.

ცვლამ მუშაობა დაამთავრა. კომკავშირელები (მარცხნიდან) ზ. ხომასურიძე, მ. კიპაროიძე, ლ. ჭიღლაძე, თ. სხილაძე, ლ. ვაჩაძე და ვ. თარაშვილი ნაყოფიერი შრომის შემდეგ კმაყოფილი მოაბიჯებენ, ეამაყებათ, რომ მშობლიური ქარხნის წარმატებებში მათაც შეაქვთ თავიანთი მოკრძალებული წვლილი.

ფოტო ბ. ბოგუსლავსკი.

წინააღმდეგ

ქუთაისი. (საკ. კორ.). სატრაქტორო ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება 1972 წლისა და ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

შეჯიბრების წინა ხაზზე არიან კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები. ამ ბრიგადებში გაერთიანებული ყველა 85 ახალგაზრდა მუშა კარგახანია ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში ასრულებს. მესამე მექანიკური უბნის ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ს. ბერაძე უძღვება, უკვე მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ანგარიშში მუშაობს. ამ ბრიგადაში კი არა. მთელს ქარხანაში გამოიჩინა თავი კომკავშირელმა მღარავმა ჯანსუღ ხონელიძემ, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 160-170 პროცენტით ანაღდებს, ამასთან მის მიერ დამზადებული დეტალები პირველი წარდგენისთანავე ბარდება. ახალგაზრდა მღარავი, რომელიც ახლა 1973 წლის ანგარიშში მუშაობს, კომკავშირის ქუთაისის საკალაჯო კონფერენციის დელეგატად აირჩიეს.

